ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 21 სექტემბრის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 05 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 01 ოქტომბრის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი N16

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

01 ოქტომბერი 2026 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პაატა გოგოლაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პავლე კიკალიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკ კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

კობა კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

ჟანა ნემსაძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

გივი თხელიძე ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე.

სათათბირო ხმის უფლებით:

გრიგოლ ჭიპაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე,

როინ გელაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე,

ნონა ზურაბიანი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე,

გელა მაღრაძე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მარიამ შარიქაძე საკრებულოს აპარატის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

არ ესწრებოდნენ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 05 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

„ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი 2026 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 06 აპრილის N 69. 69260965 განკარგულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი,

მომხრე 11,

წინააღმდეგი

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე

აზრი გამოთქვეს:

შმაგი ხიჯაკაძემ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ვარძიის პირველი უბნის ხიდთან დაკანშირებით, რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანდა

პეტრე შარიქაძემ, მომხსენებელმა უპასუხა, რომ წერილით ვაცნობეთ გუბერნიას და მოვითხოვეთ სტიქიის ფონდიდან თანხის გამოყოფა.

კობა კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა ვარძიის ცენტრალური გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

პეტრე შარიქაძემ, მომხსენებელმა უპასუხა, რომ დაიწყება მომავალი წლიდან, სავარაუდოდ ასფალტის საფარის დაგება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2026 წლის 05 ოქტომბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი,

მომხრე 11 ,

წინააღმდეგი

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2026 წლის 05 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში,

2.საკითხი განიხილოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 05 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 05 ოქტომბრის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პავლე კიკალიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხუნევში მდებარე 36.08.34.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

5. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

6. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

7.„ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი 2026 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 06 აპრილის N 69. 69260965 განკარგულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**